შორენა კორტავა[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.47

გზად ახალი მოდერნისაკენ : ულრიხ ბეკის შეხედულებები თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმირების თაობაზე

აბსტრაქტი. გერმანელი სოციოლოგის, ულრიხ ბეკის ინტერესის საგანი თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმირების ფონზე არის კლასობრივი უთანასწორობა, რომელიც მისი აზრით ცხოვრების დონის მატებასთან ერთად ქრება და გამოსჭვივის ყოველდიურობის ნიუნსებში, იქნება ეს არქიტექტურული დიზაინი, ჩაცმის სტილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ცხოვრების დაგეგმვარება თუ სხვა. თუმცა, ეს პროცესი გასაგები მიზეზების გამო პირველი, მეორე და მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, განსხვავებული ინტენსივობით მიმდინაროებს. ავტორის მიხედვით, ამ პროცესის თანმდევია: 1. ანაზღაურებადი შრომისაგან გამოთავისუფლებული მეტი დრო; 2. ანაზღაურებადი შრომისაგან გამოთავისუფლებული დროის მატერიალური კუთხით კარგად უზრუნველყოფა; 3. ანაზღაურებადი შრომისაგან თავისუფალ დროს ადამიანების პროდუქტიულობის შენარჩუნება და შესაძლოა უმჯობესი ხარისხითაც; 4. მეტი ანაზღაურება; 5. სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა მამაკაცებში დაახლოებით 10 წლით, ხოლო ქალებში 13 წლამდე. ულრიხ ბეკი ამ ხუთი კომპონენტის კომბინაციიდან და არამარტო საუბრობს ,,ლიფტის ეფექტზე". ცვლილებათა განხილვადი შემთხვევის გენეზისს გერმანიის მაგალითზე აგებს, მოყოლებული კაიზერისეული პერიოდიდან, ვაიმარის რესპუბლიკის ჩათვლით ფედერაციულ გერმანიამდე, რომელმაც თანამედროვე გერმანიას მისცა სახე. ულრიხ ბეკის აზრით, ცხოვრების დონის ზრდა სქესთა შორის ურიერთობებზეც კი აისახება და ე.წ. პატრიარქალური საზოგადოებისთვის მახასიათებელი სქესთა შორის მიმართების ჭრილში სტერეოტიპები ჩამოიშლება. ზემოხსენებული ,,ლიფტის ეფექტის" წყალობით დროდადრო,

[1] **შორენა კორტავა** - სოციოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფიქრობს ბეკი, შესაძლებელი ხდება ,,ნახტომები ისტორიაში", რაც გვაძლევს სრულიად ახალ რეალობას, და პირველ რიგში ახალს ხარისხობრივად.

საკვანძო სიტყვები: ულრიხ ბეკი, საზოგადოება, შეხედულებები, ტრანსფორმაცია, უთანასწორობა, ყოველდღიურობა,

Shorena Kortava
Sokhumi State University

Towards a New Modern
Ulrich Beck's Views on the Transformation of Modern Society

Abstract. A modern German sociologist investigated the transformation of modern society. He took the post-war era of the twentieth century as an indicator of measurement. Ulrikh beck writes that the reason for the transformation of society was the increase in the time that was reduced to labor, the increase in earnings and the better education. The process of individualization has improved the quality of life. The boundaries of social classes have expanded. The classes were transformed into layers. The position of women in society has improved qualitatively. But on the other hand, the competition for them in the labor market has grown. Ulrich Beck writes at the end of his research that the threat to the new society is massive unemployment.
Key words: Ulrich Beck, society, views, transformation, inequality, everyday life.

ძირითადი კვლევა. ულრიხ ბეკი (1944-2015) გახლავთ გერმანელი სოციოლოგი და პოლიტიკური ფილოსოფოსი, პროფესორი მიუნხენის უნივერსიტეტისა და ლონდონის ეკონომიკური სკოლის. იგია ე.წ. რეფლექსიური მოდერნიზაციისა და რისკის საზოგადოების თეორიის ავტორი. აქტიურად იკვლევდა გლობალიზაციის საკითხებს. იყო დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ჟურნალისა Soziale Welt.[2] 1966 წლიდან მოყოლებული შეისწავლიდა სოციოლოგიას, ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, პოლიტიკის მეცნიერებებს მიუნხენის უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა და 1972 წელს მიიღო კიდეც დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ფილოსოფიაში. 1992 წლიდან სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი და პროფესორი გახდა ამავე უნივერსიტეტში, ასევე ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში დაიკავა იგივე აკადემიური თანა-

[2] დღეს ჟურნალ Soziale Welt რედაქტორი გახლავთ Eva Koehler, M.A. ჟუნრალის ელექტორნული ფოსტის მისამართია soziale-welt@nomos.de

მდებობა. მისი მეუღლე, ასევე გახლდათ სოციოლოგი, ფრაუ ელიზაბეტ ბეკ-გერნშეიმი.[3]

მოცემულ სტატიაში ჩვენი განხილვის საგანი ხდება ულრიხ ბეკის ყვე-ლაზე ტიტულოვანი მონოგრაფიის – Risikogesellschaft – AAud dem Weg in eine andere Moderne (1986) Risk Society – ფარგლებში დამუშავებული საკითხი, თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმირება.

ულრიხ ბეკის ინტერესის საგანი თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმირების ფონზე არის კლასობრივი უთანასწორობა, რომელიც მისი აზრით ცხოვრების დონის მატებასთან ერთად ქრება და გამოსჭვივის ყოველდღიურობის ნიუნსებში, იქნება ეს არქიტექტურილი დიზაინი, ჩაცმის სტილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ცხოვრების დაგეგმარება თუ სხვა. თუმცა, ეს პროცესი გასაგები მიზეზების გამო პირველი, მეორე და მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, განსხვავებული ინტენსივობით მიმდინაროებს.
ამ პროცესის თანმდევია:

1. ანაზღაურებადი შრომისაგან გამოთავისუფლებული მეტი დრო.
2. ანაზღაურებადი შრომისაგან გამოთავისუფლებული დროის მატერიალური კუთხით კარგად უზრუნველყოფა.
3. ანაზღაურებადი შრომისაგან თავისუფალ დროს ადამიანების პროდუქტიულობის შენარჩუნება და შესაძლოა უმჯობესი ხარისხითაც.
4. მეტი ანაზღაურება.
5. სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა მამაკაცებში დაახლოებით 10 წლით, ხოლო ქალებში 13 წლამდე.

ულრიხ ბეკი ამ ხუთი კომპონენტის კომბინაციიდან და არამარტო საუბრობს ,,ლიფტის ეფექტზე". ცვლილებათა განხილვადი შემთხვევის გენეზისს გერმანიის მაგალითზე აგებს, მოყოლებული კაიზერისეული პერიოდიდან, ვაიმარის რესპუბლიკის ჩათვლით ფედერაციულ გერმანიამდე, რომელმაც თანამედროვე გერმანიას მისცა სახე.

ულრიხ ბეკის აზრით, ცხოვრების დონის ზრდა სქესთა შორის ურიერთობებზეც კი აისახება და ე.წ. პატრიარქალური საზოგადოებისთვის მახასიათებელი სქესთა შორის მიმართების ჭრილში სტერეოტიპები ჩამოიშლება.

ზემოხსენებული ,,ლიფტის ეფექტის" წყალობით დროდადრო, ამბობს ბეკი, შესაძლებელი ხდება ,,ნახტომები ისტორიაში", რაც გვაძლევს სრულიად ახალ რეალობას, და პირველ რიგში ახალს ხარისხობრივად.

---

[3] ელიზაბეტ ბეკ-გერნშეიმი (1946) - გერმანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი; მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი. სამეცნიერო ხარისხი მიიღო 1973 წელს.

ულრიხ ბეკი ამბობს, მოდენრის[4] ჩარჩოში, ჩვენ გავხდით მოწმენი საზოგადოების მეტამორფოზისა. ამ პროცესის თანმდევია ადამიანების გათავისუფლება ინდუსტრიალური საზოგადოების სოციალური ფორმებისაგან. დაყოფამ კლასებად, ტრადიციულმა ოჯახურმა ურთიერთობებმ[5] და თუნდაც სქესთა შორის მიმართებებმა განიცადა მნიშვნელადი კორექცია.

გავაკეთოთ ისტორიული ექსკურსი, რომელსაც თანმიმდევრულად თავად ულრიხ ბეკი მისდევს. დასავლეთის მეტნაკლებად მდიდარ ყველა ინდუსტრიალურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, მოდერნიზაციისას, რომელიც აშკარად იყო საზოგადოებრივად სასარგებლო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადრე წარმოუდგენელი გაქანების ძვრას ქონდა ადგილი, კონკრეტულად კი ინდივიდუალიზაციის კუთხით. ხელშემწყობ პირობად ანალიტიკოსი[6] ასახელებს ცხოვრების შედარებით მაღალ დონეს და სოციალურ გარანტიებს. ადამიანი თანდათან სწავლობდა, თუ როგორ გამხდარიყო უკვე დამოკიდებული საკუთარ თავზე.

ინდივიდუალიზაციის პროცესი, შენიშნავს ბეკი (Бек, 2000: 106) ადრე უპირატესად მხოლოდ ბურჟუაზიას შეეხებოდა. მათი პრივილეგია იყო. თანამედროვე კაპიტალიზმში გავრცელებული „თავისუფალი დაქირავებული შრომის“ ზეგავლენით იგი სხვა სოციალური ფენებისთვისაც იქცა შესაძლებლად. შრომის ბაზარზე ადამიანებმა შეიძლება ერთგვარად კოლექტიური ბედი გაიზიარონ, რაც გულისხმობს მასობრივ უმუშევრობას, კვალიფიკაციის დაკარგვას (გარკვეული ტიპის საქმიანობები, როცა ბაზარზე გასავლიანი არაა) და მსგავსი.

ულრიხ ბეკი ცდილობს უმუშევრობის ანალიზის ფონზეც გაშალოს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებათა პროცესები. დაყოფს უმუშევრების ერთობლიობას ცალკეულ კატეგორიებად, დროებით უმუშევარი და წლობით უმუშევარი; ასევე, რისკ ჯგუფებს პერიოდულად უმუშევრობისათვის განწირულთ (დიასახლისები, ჯერაც სრულიად ახალგაზრდები, ნაადრევად პენსიაზე გასული პირები). უმუშევრობასთან ახლოს მდგომად

---

[4] ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში კაცობრიობის მიერ განვლილი გზა იყოფა სამ ეტაპად - ყველაზე ზოგადი კლასიფიკაცია - პრე-მოდერნი, მოდერნი და პოსტ-მოდერნი. პრე-მოდერნის დონეზე გვქონდა ე.წ. გემაინშაფტი, მოდერნიდან კი საზოგადოება, გეზელშაფტი უკვე რთული სტრუქტურით, სადაც თავს იყრიან სიმრავლეები მეტნაკლებად მოძრავი საზღვრებით.

[5] იგულისხმება ე.წ. გაფართოებული და კოჰორტული ოჯახი, რომელიც მოიცავდა რამდენიმე თაობას და მშობლების გარდა სხვა ნათესავებსაც; ზრდასრული შვილების სრულწლოვანების მერე კვლავაც მშობლებთან ან და-ძმებთან თანაცხოვრების ჩვეულობას, მათ დამოკიდებულებას ოჯახის საერთო ბიუჯეტზე.

[6] იგულისხმება ულრიხ ბეკი.

ეჩვენება ბეკს ნახევრად-დასაქმებულობა, ანუ გასაგებად რომ ვთქვათ, ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, როგორც ასეთი.

რაც შეეხება ქალის მდგომარეობას ამ ახალ, ტრანსფორმირებად დროში, ერთია ის, რომ იგი დაუცველია განათლების არქონის შემთხვევაში და მეორეც, განქორწინების შემთხვევაში რჩება ფესვების გარეშე (ფინანსური უზრუნველყოფის არარსებობის გამო).

ბეკი წერს, ინდივიდუალიზაცია ჩემს მიერ გაიგება, როგორც ისტორიულად წინააღმდეგობრივი გა-საზოგადოების პროცესი, როცა კოლექტივიზმი და ინდივიდუალური გარემოებების სტანდარტიზაცია რთულად ინტერპრეტირდება (Бек, 2000:109). ამ პროცესის თანმდევია ახალი სოციოკულტურული ერთობების აღმოცენება. ჩნდება სხვადასხვა სამოქალაქო ინიციატივა, სოციალური მოძრაობა. ცალკეული ადამიანის დონეზე ჩნდება სურვილი „მოიპოვო შენთვის საკუთარი ცხოვრების ნაკუწი“ (მატერიალურ-დროით-სივრცით მიმართებაში და ასევე სოციალური ურთიერთკავშირების მიმართებისას). ეს სურვილები აღმოცენების პროცესშივე ცხადია შეეჩეხებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეზღუდვებს, რომლებიც თავისმხრივ ვლინდებიან სხვადასხვა წინააღმდეგობრივ ქმედებებში. კერძო სფეროში ადმინისტრაციული და ინდუსტრიალური ჩარევის შედეგად წარმოიშობიან ერთობები, რომელნიც ორიენტირდებიან უშუალოდ პროტესტზე. სოციალური მოძრაობების სპეციფიკა ზოგადად ასეთია, მაგალითად, ,,გარემო“, ,,ქალთა ემანსიპაცია მსოფლიო დონეზე“ და მსგავსი. ასეთ დროს სტაბილიზაციას პრობლემას უქმნის თავისმხრივ ამ მოძრაობების პოლიტიზაცია.

ზოგადად საზოგადოებრივ ცვლილებებს ულრიხ ბეკი, როგრც ზემოთ ავღნიშნეთ უკვე ერთხელ, გერმანიის მაგალითზე განმარტავს. კონკრეტულად კი, გერმანიის უფრო მოდერნული ნაწილის, დასავლეთ გერმანიის ფონზე. სიცოცხლის ხანგრძლივობა[7], აქტიური შრომითი ცხოვრება, ხელფასი იყო ის სამი კომპონენტი, რამაც ევროპის ამ რეგიონის ნახტომისებური განვითარება განაპირობა.

რაც შეეხება სოციოკულტურულ ცხოვრებას, მაგალითად როცა ლაპარაკია თავისუფალი დროის მოხმარებაზე, უწინდებურად, რჩება ადგილები, სადაც გადაიკვეთებიან ერთნი და ვერ გადაიკვეთებიან მეორენი, იქნება ეს სხვადასხვა გაერთიანებები არსებული კლუბების სახით, რესტორნები, თუნდაც მოხუცებულთათვის განკუთვნილი სპეციალური სახლები. მომხმარე-

[7] **სიცოცხლის ხანგრძლივობა** დემოგრაფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადია და მასთან ერთად როგორც წესი კონტესქტში განიხილება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა და ცხოვრების დონე.

ბლური ქცევა, რომელიც ისედაც არაერთგვაროვანი იყო, გამოკვეთს ჩაცმისადმი სპეციფიკურ მიდგომებს, ანუ, სტილი არაა მეტად სოციალური ნიშნით მარკირების მარტივი საშუალება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ახლებურად განსაზღვრავენ თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში ცხოვრების დაგეგმვარებას. ადამიანები სულ უფრო უარს ამობენ კლასობრივ-კულტურულ ატრიბუტებზე, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად გამოხატულ ნიშნებზე. ინდივიდუალური გარემოებების დიფერენციაცია იკვეთება შრომითი ბაზრის ორი კომპონენტის ფონზე, ესენია მობილობა და განათლება

ულრიხ ბეკის აზრით ეს ყბადაღებული საუბრები სოციალურ მეცნიერებებში ინდუსტრიულ რევოლუციაზე, სრულიად გაზვიადებულია. სოციალური მობილობების[8] ხარისხზე ასახება ნებისმიერი რევოლუცია პირველ რიგში და მხოლოდ იგია რევოლუციის ჭეშმარიტი გაზომვის ინდიკატორი. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, იგულისხმება ომის შემდგომი პერიოდი, სოციალური მობილობა გვაქვს მეტი ინტენსივობით.

ბეკი მიუთითებს, რომ მე-20 საუკუნის 60-70 იან წლებში სოციალური იერარქიის ქვედა მესამედში მომსახურების სექტორის გაფართოების ხარჯზე სოციალური აღმასვლის შანსები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ისე რომ, მოსამსახურე პერსონალისა და ჩინოვნიკების წრეებში განსხვავებები მაინც შენარჩუნდა. მომსახურების სფეროს ექსპანსიით და ცვლილებებით პროფესიულ სფეროში პირველ რიგში ისარგებლეს ახალგაზრდებმა, ქალებმა მუშათა კლასიდან. მოსამსახურეთა და ჩინოვნიკთა არმიის საშუალო და დაბალი რგოლები 70 იანი წლებისათვის ნახევრად სწორედ მუშათა ოჯახებიდან გამოსულებით შეივსო (აქ ლაპარაკია 1920 წლიდან 1936 წლამდე დაბადებულებზე). მუშათა ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდების, რომლებიც დაექვემდებარნენ აღმავალ სოციალურ მობილობას, თვისებრივი მახასიათებლები სტატისტიკურად ასეთია:

√ გაუნათლებელი ოჯახებიდან 15%

√ განათლებული ოჯახებიდან 23%

√ კვალიფიცირებული მუშის ოჯახიდან 31%

√ ბრიგადირების, ოსტატების შვილები - 45%

მე-20 საუკუნის 60-70 წლები ხასიათდებოდა ასევე მასიური გეოგრაფიული მობილობით. მობილობა იყო საინტერესო საცხოვრებელ სახლსა და სამ-

---

[8] **სოციალური მობილობა** შეიძლება იყოს თაობათაშორისი, ჯგუფური, ჰორიზონტალური და ვერტიკალური. სოციალური მობილობა საკუთრივ ნიშნავს სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას (ან, გაუარესებას) ერთი კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისათვის.

სახურს შორის, რადგან ისინი შესაძლოა სხვადასხვა ქალაქებში ყოფილიყვნენ განთავსებული. სოციალური მობილობის ინტენსივობის ხარჯზე გადასხვა-ფერდა ოჯახში, სამეზობლო თემში, სამეგობროსა და პროფესიულ სფეროებ-ში ურთიერთობები, თავი იჩინა ,,მეტმა“ ინდივიდუალიზაციამ. ლანდშაფ-ტთან, რეგიონალ კულტურასთან ადამიანები ნაკლებად მიჯაჭვულები გახდ-ნენ. პიროვნებები, კავშირები, რომელთანაც მათ ქონდათ საერთო და საი-დანაც გამოდიოდნენ, მათზე ნაკლებად ახდენენ ზეგავლენას. ადამიანები შეიძე-ნენ საკუთარ რეალობას და აღიქვამენ მას, როგორც თავის ბედს. ის ჯგუფები, სადაც ახალ ეტაპზე ინტეგრირდებიან, ასევე არ აღიქმება, როგორც უპირობო ვალდებულება და საბოლოო ათვლის წერტილი.

უწინ ოჯახის ფარგლებში, ე.წ საშინაო მეურნეობაში ხვედრითი წილი მოდიოდა ქალის შრომაზე. მუშათა კლასში ქალების ხვედრითი წილი, ბეკის მიერ განხილვად ასწლეულში იყო დაახლოებით, როგორც ამას თვითონ უთითებს, 36% (Бек, 2000:115). ქალებმა არაანაზღაურებადი შრომის სანაცვ-ლოდ ოჯახში უკვე თანდათან მოიძიეს სამუშაო, ანაზღაურებადი, სახლის გარეთ და იზრუნეს საჭირო კვალიფიკაციაზე. ქალი, უკვე აღარ ხედავ თავშე-საფარს ქორწინებაში მატერიალური უზრუნველყოფისათვის. ,,დამოუკიდებ-ლად გამომუშავებული ფული“ უკვე შეიძენს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ სიმბოლურ და სოციალურ მნიშვნელობას. ის ცვლის ძალთა ბალანსს ოჯახსა და ქორწინებაში. ის, რომ უწინ ქალს არ ჰქონდა საკუთარი ფული, გა-ნსაზღვრავდა ცხადია მისი სოციალური კავშირების დაბალ ხარიხსს. ბეკი ამ-ბობს, როცა ქალს არ ქონდა ,,საკუთარი ფული“, ფაქტიურად იგი იყო ,,სამზა-რეულოს მოლაპარაკე დანადგარი“ (Бек, 2000:116). ქალი აცნობიერებს რა სა-კუთარ ინტერესებ, იღებს კონკურენტულ განათლებას და იორმაგებს შანს აღ-მავალი ვერტიკალური მობილობის სოციალურ იერარქიულ კიბეზე.

როლების ტრადიციული დანაწილებისას, მამაკაცის პროფესიული მო-ბილობა და მობილობა ოჯახის შიგნით განსხვავდებოდა. რეალურად კი, შრომის ბაზართან ბმაში მყოფი მობილობა ღრღნის ოჯახს. იგი შხამს გავს და ოჯახურ ურთიერთობებში ჩაესობა, როგორც სარი, პალო. თუკი ორივე, ქო-რწინებაში მყოფი პირი აქტიურად ზრუნავს შრომის ბაზარზე სარფიანად საკუ-თარი თეორიული და პრაქტიკული უნარების გაყიდვის ხარჯზე ფეხი მოი-კიდოს, მათ მაინც ,,გახლეჩილი ოჯახის“ ბედისწერა აჩრდილად დასთამა-შებთ. აქედან ხსნის ბეკი ომის შემდგომ ეპოქაში გაყრების მაღალ სტატის-ტიკურ მაჩვენებელს. ინდუსტრიალური საზოგადოება ვითარდება და თავის მხრივ თავისივე საფუძველს, ოჯახს ანადგურებს.

რაც შეეხება განათლების სფეროს, ტრადიციული საზოგადოებაში გვქონდა ,,განათლებული უმცირესობა“ და ,,გაუნათლებელი უმრავლესობა“.საჯარო სკოლები, დამატებით პროფესიული სასწავლებლები მუშათა კლასს უფრორე კვალიფიციურს ხდის, უკვე არა-გაუნათლებელს. ბეკი ლაპარაკობს ,,განათლების რევოლუციაზე“, რომელმაც შეცვალა ცხოვრების ხარისხი მოსახლეობის ფართე ფენებისათვის და ე.წ. საშუალო ფენა გახადა ახალი საზოგადოებრივი წყობის ბაზისი. თანდათანობით გაიზარდა სწავლებისთვის განკუთვნილი ასაკი. ანუ, ადამიანები თავინთი ბიოგრაფიის გაცილებით მეტ წილს უთმობენ სწავლას. ისკიარადა ფიქრობენ, რომ კვალიფიკაციის გაფართოებას და დახვეწას მთელი ცხოვრებაც კი ჭირდება. ასევე, ხდება განათლების მნიშვნელოვანი ფემინიზაცია. უმაღლესი განათლების მასობრივმა ხასიათმა კულტურული კაპიტალის უთანაბრობის ნიადაგზე განაპირობა ომისშემდგომ გერმანიაში თაობათშორისი გახლეჩა. იგი აისახა ცხადია სქესთაშორის მიმართებებზეც. შვილები ნაკლებად გახდნენ განსაზღვრული მშობლების პოლიტიკური ორიენტაციით. არამხოლოდ. გაჩნდა ახალი სოციალური მოძრაობები. ადამიანები თავისუფლდებიან კლასობრივ-კულტურული ხასიათის მქონე არტახებიდან, რომლებიც განპირობებული იყო წარმომავლობით, არა-პიროვნული დამსახურებებითა და მახასიათებლებით. მას მერე რაც სასკოლო სწავლების ვადები გახანგრძლივდა, ეჭვს დაექვემდებარა ტრადიციული ორიენტაციები, აზრთა წყობა, ცხოვრების უწინდელი სტილი. განათლების ხანგრძლივობის ზრდამ განაპირობა თვითშემეცნების და მისგან გამომდინარე, თვითრეალიზაციის წარმატებული შესაძლებლობა. განათლება, როგორც ასეთი, დაკავშირებულია სელექციასთან, მოითხოვს შესაბამისად ინდივიდუალურ კარიერულ ორიენტაციას, რომელიც ქმედითი რჩება იმ პირობებშიც კი, როცა „წინწაწევა განათლების ხარჯზე მტკნარი ილუზიაა“[9]. ფორმალიზებული საგანმანათლებლო პროცესი ბოლოსდაბოლოს შეიძლება დაამთავრო „მაინდივიდუალიზირებელი ნემსის ყუნწში გასვლით“. ამას ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ტესტირებები, ე.წ. საკონტროლო წერები და მსგავსი.

ბეკი ამბობს (Бек, 2000:118), თუკი ავიღებთ შედარებისათვის პროლეტარულ-კლასობრივ ბრძოლას, ისეთს, როგორიც ის იყო მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე და თვალს შევავლებთ მის დანაწევრებას პრინციპით ,,სოციალ-დემოკრატიული“, ,,კათოლიკური“, ,,ევანგელისტური“ და სხვა, დავინახავთ, რომ ეს დანაწევრება მოსალოდნელ განვითარებასთან განხეთქილებაში მოვიდა, რამაც თავისი თავი გაამჟღავნა თაობათა ცვლის პროცესში. უწინ, მუ-

[9] ამის მიზეზი შეიძლება იყოს მარტივად, ნეპოტოზმი.

შათა მოძრაობაში ჩაზრდა ცალკეული ადამიანისთვის უპირატესად ბუნებრივი პროცესი იყო და ამას განსაზღვრავდა ოჯახური გამოცდილება. მასში აისახეობა კლასობრივი ბედი. ასევე ახდენდა გავლენას სამეზობლო თემი, სპორტული ასოციაციები და მსგავსი. ე.წ. საწარმო სოციალიზაციის ჩათვლით ადამიანი თავისთავად იღვრებოდა პოლიტიკურ მოძრაობაში. გამოცდილების შეძენის, კლასობრივი სტანდარტებით კონტროლის განხორციელების ამ ფართე კონვეირმა სოციალურ სფეროს ბევრ პუნქტში გამოავლინა წყვეტა, თუმცა ცალკეული ადამიანისთვის თავისი ცხოვრების ცალკეული ნიუანსებიდან გამომდინარე, მაინც უწინდებურად საგრძნობი შეიქმნა თავისი ,,კლასობრივ ბედი".

ქალებმა უმაღლესი განათლების წყალობით მამაკაცებთან როგორც კი შეძლეს შედარებით გათანაბრება, უმალვე იწვნიეს ის მწარე ხვედრი, რასაც უმუშევრობა ერქვა. და რჩებოდათ ასეთი არასახარბიელო არჩევანი, ,,უკანდიასახლისობისაკენ". მათთვის ერდროულად იყო ყველაფერი შესაძლებელიც და შეუძლებელიც. კულტურული კაპიტალის თანაბარმა პაკეტმა ოჯახსა თუ სამუშაოზე ქალისთვის სულაც ვერ უზრუნველყო მამკაცთან გათანაბრებული პირობები. მათ უწინდებურად უპირისტირდებოდათ არგუმენტი, „მათ ეს არ შეუძლიათ", ,,მათ ამის უფლებას ვერ მივცემთ". უთანასწორობამ უკვე შეიძინა პიროვნული, ყოველდღიური, არალეგიტიმური, ხოლო შემდეგ ფაზაზე, პოლიტიკური ხასიათი (ამ სიტყვის ტრადიციული და კერძო მნიშვნელობით).

შენარჩუნებული უთანასწორობის პირობებში ,,საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოში"[10] აღმასვლის ფაზამ კულტურული ეროზია და ცხოვრების პირობების ევოლუცია გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო მტკივნეული გახადა ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობა. ასეთი იყო ინდივიდუალიზაციის პროცესის დინამიკა, რომელმაც ყველა ზემორე ჩამოთვლილი კომპონენტის ხარჯზე (მეტი თავისუფალი დრო_1, მეტი ფული_2, სოციალური მობილობა_3, განათლება_4) ინტენსიურად შეცვალა სტრუქტურა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კავშირებისა და ჩამოშალა ისინი. ანუ, იგულისხმება სოციალური კლასი და ოჯახი.

ულრიხ ბეკი ლაპარაკობს ახალი ეპოქისათვის[11] მახასიათებელ ტენდენციაზე, რომელსაც ეძახის ***განკლასებას***. მისი აზრით, ესაა ზოგადად ტრადი-

---

[10] ტერმინი აკადემიურ წრეებში დამკვიდრდა ჯონ კენეტ გელბრაითის (1908-2006), ამერიკელი ეკონომისტის მონოგრაფიიდან, „The Affluent Society" („სიუხვის საზოგადოება"), 1958.

[11] „ახალ ეპოქად" ულრიხ ბეკი მიიჩნევს XX საუკუნის 60-70-იანი წლებს მიიჩნევს.

ციული საზოგადოებისათვის მახასიათებელი დიდი სოციალური ჯგუფების დასასრულია და ამიტომაც, ის ცნებას „კლასი“ ჩაანაცვლებს ცნებით „ფენა“. მზარდი ხარიხსი ინდივიდუალიზაციისა რამდენადაც კარგია, ამ პირობებში, იმდენად რისკის ხარიხს ცალკეული ინდივიიდისათვის ზრდის მასობრივი უმუშევრობის მაშტაბების ზრდა, რამაც შემდგომში შეიძლება გან-საზოგადოებაც გამოიწვიოს. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, გან-საზოგადოებას, მის მიმართ ცხოველ ინტერესს იჩენენ პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიის წარმოამდგნელები, რომელთა რიცხვსაც ულრიხ ბეკი აშკარად არ მიეკუთვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

Beck (1986) Beck Ulrich, Risikogesellschaft; AUD DEM WEG IN EINE ANDERE MODERNE, Suhrkamp Verlag Frankfurt am Main;

Бек (2000) Бек Ульрих, Общество риска; На пути к другому модерну. Пер. с нем. В. Седельника, Н. Федоровой. Москва Прогресс-Традиция;